

შპს მეიდან ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. ამონაგები მომსახურების გაწევიდან	9
6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები	9
7. კომერციული ხარჯები	9
8. სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
9. ძირითადი საშუალებები	11
10. საინვესტიციო ქონება	12
11. ინვესტიციები	12
12. მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებიდან	12
13. გრძელვადიანი მოთხოვნები	12
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
15. ფული და ფულის ექვივალენტები	13
16. გრძელვადიანი სესხები	13
17. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13
18. ბალანსის შემდგომი მოვლენები	14

შპს მეიდან ჯგუფი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2019 (არააუდიტირებული)	2018 (არააუდიტირებული)
	შენიშვნა		
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	5,014,565	4,619,277
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(651,223)	(670,615)
საერთო მოგება		4,363,342	3,948,662
სხვა საოპერაციო შემოსავალი		70,156	1,600,000
კომერციული ხარჯები	7	(2,580)	(13,326)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,551,450)	(1,915,362)
საოპერაციო მოგება		2,879,468	3,619,974
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,101	762
საპროცენტო შემოსავალი		231,118	581,127
საპროცენტო ხარჯი		(309,961)	(823,929)
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		488,718	(2,164,496)
მოგება გადასახადების გადახდამდე		3,290,444	1,213,438
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		3,290,444	1,213,438

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

ქეთევან ხუროძე
დირექტორი


შპს მეიდან ჯგუფი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019 (არააუდიტირებული)	2018 (არააუდიტირებული)
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	5,014,565	4,619,277
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(651,223)	(670,615)
საერთო მოგება		4,363,342	3,948,662
სხვა საოპერაციო შემოსავალი		70,156	1,600,000
კომერციული ხარჯები	7	(2,580)	(13,326)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,551,450)	(1,915,362)
საოპერაციო მოგება		2,879,468	3,619,974
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,101	762
საპროცენტო შემოსავალი		231,118	581,127
საპროცენტო ხარჯი		(309,961)	(823,929)
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		488,718	(2,164,496)
მოგება გადასახადების გადახდამდე		3,290,444	1,213,438
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		3,290,444	1,213,438

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.



ქეთევან ხუროძე
დირექტორი

4-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს მეიდან ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (არააუდიტირებული)	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	2,487,173	2,041,998	2,136,606
საინვესტიციო ქონება	10	37,469,750	37,705,400	37,785,575
ინვესტიციები	11	16,909,303	9,650,979	7,042,216
მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებიდან	12	623,061	6,750,546	9,408,160
გრძელვადიანი მოთხოვნები	13	18,029,473	18,079,474	17,700,197
არამატერიალური აქტივები		40,421	42,840	42,840
სულ გრძელვადიანი აქტივები		75,559,181	74,271,237	74,115,594
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		28,113	13,519	28,075
საგადასახადო აქტივი		155,646	230,124	185,357
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	923,783	4,542,042	4,644,432
მისაღები პროცენტები		184,377	70,816	1,738,412
ფული და ფულის ექვივალენტები	15	269,541	740,410	129,884
სულ მიმდინარე აქტივები		1,561,460	5,596,911	6,726,160
სულ აქტივები		77,120,641	79,868,148	80,841,754
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		10,337,652	10,337,652	10,337,652
გაუნაწილებელი მოგება		29,365,425	28,115,137	26,901,699
გადაფასების რეზერვი		26,207,524	26,207,524	26,207,524
სულ კაპიტალი		65,910,601	64,660,313	63,446,875
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	16	1,478,115	3,502,000	6,898,683
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,478,115	3,502,000	6,898,683
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	9,493,600	10,267,220	8,194,086
ვალდებულებები დაკავშირებული საწარმოების მიმართ		1,675	1,675	1,675
გადასახდელი პროცენტები		236,650	1,436,940	2,300,435
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,731,925	11,705,835	10,496,196
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		77,120,641	79,868,148	80,841,754

4-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს მეიდან ჯგუფი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
1 იანვარი, 2018	10,337,652	26,207,524	26,901,699	63,446,875
წმინდა მოგება	-	-	1,213,438	1,213,438
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	10,337,652	26,207,524	28,115,137	64,660,313
წმინდა მოგება	-	-	3,290,444	3,290,444
დივიდენდის განაწილება	-	-	(2,040,156)	(2,040,156)
31 დეკემბერი, 2019	10,337,652	26,207,524	29,365,425	65,910,601

1. კორპორატიული ინფორმაცია

მეიდან ჯგუფი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2007 წლის თებერვალში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204523239.

ძირითადი საქმიანობა. შპს მეიდან ჯგუფი არის უძრავი ქონების მართვისა და განვითარების კომპანია. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული ფართების იჯარით გაცემა. კომპანიის მეორე ძირითადი საქმიანობაა საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა უძრავი ქონების მართვის სფეროში. საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 44 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, კოტე აფხაზის ქ., N44.

კომპანიის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები იყვნენ:

- კომპანია ტერმოტელ ასეტს კორპორაცია, 1406600 /ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.) - 69%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეიდანზე - 23.25%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეიდანია - 7.75%

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2019 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ამავე პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. კომპანიამ გამოიყენა საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის დაშვებული გამონაკლისი და არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება გარდა 2018 წელს მომზადებული წინასწარი ანგარიშგებისა რაც წარმოადგენდა მსს ფასს-ზე გადასვლის პროცესის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბერს, 2018 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

დაუმთავრებელი მშენებლობა. დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შედის მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული მასალები და შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე გაითვალისწინება კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

საინვესტიციო ქონება.

აღიარება და შეფასება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან. საინვესტიციო ქონება შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით.

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაშია მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი	5
იაჯრით აღებული ქონების კეთილმოწყობა	25-50
მანქანა-დანადგარები	5
სატრანსპორტო საშუალება	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	2
შენობა-ნაგებობა	50-100

არამატერიალური აქტივები.

აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ინვესტიცია. ინვესტიციები შეფასებულია თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები და სხვა სახის განაწილებები აღიარდება როგორც შემოსავალი.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის/გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც მისი ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შპს მეიდან ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები მომსახურების გაწევიდან

	2019	2018
ამონაგები საიჯარო მომსახურებიდან	4,384,694	3,831,663
ამონაგები საკონსულტაციო მომსახურებიდან	545,965	692,303
ამონაგები კომუნალური მომსახურებიდან	65,520	72,870
ამონაგები სხვა მომსახურებიდან	18,386	22,441
სულ ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5,014,565	4,619,277

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები

	2019	2018
ცვეთა და ამორტიზაცია	(370,849)	(388,012)
კომუნალური მომსახურების ხარჯები	(116,579)	(125,768)
საიჯარო ქირა	(163,296)	(152,799)
სხვა ხარჯები	(499)	(4,036)
სულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები	(651,223)	(670,615)

7. კომერციული ხარჯები

	2019	2018
რეკლამის ხარჯები	(2,580)	(13,267)
სხვა მიწოდების ხარჯები	-	(59)
სულ კომერციული ხარჯები	(2,580)	(13,326)

შპს მეიდან ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(1,043,038)	(933,493)
საგადასახადო ხარჯი	(138,774)	(136,081)
საწვავის ხარჯი	(79,348)	(69,646)
საკონსულტაციო ხარჯები	(70,931)	(86,848)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(33,901)	(38,126)
რემონტის ხარჯი	(20,699)	(14,449)
დაზღვევის ხარჯები	(16,160)	(14,143)
საპენსიო ხარჯი	(14,053)	-
კომუნიკაციის ხარჯები	(7,342)	(4,730)
ბანკის საკომისიო	(880)	(6,736)
რეალიზებული წილის თვითღირებულება	-	(330,440)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(126,324)	(280,670)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,551,450)	(1,915,362)

შპს მეიდან ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრასპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
1 იანვარი, 2018	10,584	477,885	279,342	2,338,365	277,682	24,497	3,408,355
შემოსვლა წლის განმავლობაში	132,902	-	15,414	23,218	-	695	172,229
გასვლა წლის განმავლობაში	(114,475)	-	-	-	-	-	(114,475)
31 დეკემბერი, 2018	29,011	477,885	294,756	2,361,583	277,682	25,192	3,466,109
შემოსვლა წლის განმავლობაში	433,727	-	18,826	41,587	83,565	250	577,955
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	462,738	477,885	313,582	2,403,170	361,247	25,442	4,044,064
ცვეთა							
1 იანვარი, 2018	-	(406,841)	(145,957)	(484,137)	(211,795)	(23,019)	(1,271,749)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(20,340)	(44,573)	(65,189)	(20,787)	(1,473)	(152,362)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	-	(427,181)	(190,530)	(549,326)	(232,582)	(24,492)	(1,424,111)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(3,402)	(42,091)	(65,606)	(21,355)	(326)	(132,780)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	-	(430,583)	(232,621)	(614,932)	(253,937)	(24,818)	(1,556,891)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი, 2018	10,584	71,044	133,385	1,854,228	65,887	1,478	2,136,606
31 დეკემბერი, 2018	29,011	50,704	104,226	1,812,257	45,100	700	2,041,998
31 დეკემბერი, 2019	462,738	47,302	80,961	1,788,238	107,310	624	2,487,173

შპს მეიდან ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობა	ჯამი
1 იანვარი, 2018	27,900,548	10,618,541	38,519,089
შემოსვლა წლის განმავლობაში	41,000	114,475	155,475
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	27,941,548	10,733,016	38,674,564
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	27,941,548	10,733,016	38,674,564
ცვეთა			
1 იანვარი, 2018	-	(733,514)	(733,514)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(235,650)	(235,650)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	-	(969,164)	(969,164)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(235,650)	(235,650)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	-	(1,204,814)	(1,204,814)
1 იანვარი, 2018	27,900,548	9,885,027	37,785,575
31 დეკემბერი, 2018	27,941,548	9,763,852	37,705,400
31 დეკემბერი, 2019	27,941,548	9,528,202	37,469,750

11. ინვესტიციები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
შპს "კალა 2005"	-	-	330,440
შპს "თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი"	16,607,123	9,387,619	6,488,416
შპს "იზი ვაინ თბილისი"	292,180	253,360	213,360
ააიპ "ქართული ღვინის მუზეუმი"	10,000	10,000	10,000
სულ ინვესტიციები	16,909,303	9,650,979	7,042,216

12. მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებიდან

მოთხოვნები გრძელვადიანი სესხებიდან წარმოადგენს დაკავშირებულ საწარმოებზე გაცემულ სესხებს. სესხის საპროცენტო განაკვეთია 7 %.

13. გრძელვადიანი მოთხოვნები

გრძელვადიანი მოთხოვნები წარმოადგენს მოთხოვნებს კომპანიის მეკავშირე საწარმოების წილის რეალიზაციიდან.

შპს მეიდან ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს წილის რეალიზაციიდან	-	2,930,466	2,930,466
სავაჭრო მოთხოვნები	683,986	603,169	337,332
პარტნიორებზე გაცემული სესხები	-	-	166,437
მოკლევადიანი ავანსები	178,615	1,004,406	1,209,834
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	61,182	4,001	363
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	923,783	4,542,042	4,644,432

15. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული სალაროში	188,089	89,038	82,635
ფული ბანკში	81,452	651,372	47,249
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	269,541	740,410	129,884

16. გრძელვადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფიზიკური პირისგან ნასესხები სახსრები	ლარი	16%	-	-	3,196,683
იურიდიული პირისგან ნასესხები სახსრები	ლარი	15%	1,478,115	3,502,000	3,702,000
ჯამი			1,478,115	3,502,000	6,898,683

17. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	9,250,865	10,111,873	7,892,281
მიღებული ავანსები	235,141	146,177	287,963
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7,594	9,170	13,842
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9,493,600	10,267,220	8,194,086

შპს მეიდან ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19-ის (Coronavirus) შესახებ. წლის ბოლოს უცნობი ვირუსის რამდენიმე შემთხვევა იყო ცნობილი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისათვის. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსის გლობალურმა გავრცელებამ და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მოიმატა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი და უარყოფითი შედეგები წარმოადგენს არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენას. ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტში მომავალი ეფექტების წინასწარ დადგენა შეუძლებელია. მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას, შესაძლო ეფექტების შესამსუბუქებლად.

2020 წელს კომპანიაში შეიცვალა მესაკუთრეთა წილობრივი განაწილება და ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის მესაკუთრეებს წარმოადგენენ:

მეწილე	წილი
შპს მეიდანზე	75%
შპს მეიდანია	25%